



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

რუსეთისათვის დანახეზული სანქციების ეკონომიკური შედეგები

დავით შატაკიშვილი

182

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

დავით შატაკიშვილი

**რუსეთისათვის დანახაბული სანქციების
ეკონომიკური შედეგები**

182

2022



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2022 წელი

ISSN 1512-4835
ISBN

შესავალი

უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციას დასავლეთმა, უკრაინის პოლიტიკური მხარდაჭერის გარდა, მკაცრი ეკონომიკური სანქციებითაც უპასუხა, რაც უპრეცედენტო მასშტაბის სანქციების პაკეტში აისახა. დასავლეთის ეს ნაბიჯი აღიქმება, როგორც სამხედრო აგრესიისთვის ეკონომიკური ფასის დაკისრების მცდელობა და, საბოლოო ჯამში, მიზნად ისახავს რუსეთის სამხედრო-ეკონომიკური შესაძლებლობების შემცირებას, რომელსაც ამჟამად ათასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე ეწირება. ფაქტია, რომ დაწესებულმა შეზღუდვებმა უკვე საკმაოდ მძიმე ეკონომიკური შედეგები მოუტანა რუსეთს, თუმცა საინტერესოა, რამდენად შესაძლებელია სანქციებით იმ პოლიტიკური მიზნების მიღწევა, რაც პრეზიდენტ პუტინს სამხედრო ოპერაციის შეჩერებისკენ უბიძგებს. ზოგადად, სანქციების ეფექტის მისაღებად საშუალოდან გრძელ ვადამდე პერიოდი საჭიროა. ამ ეტაპზე, რუსეთი მძიმე ეკონომიკური დანაკარგების მიუხედავად, ახერხებს მასობრივი შეზღუდვების პირობებში ცხოვრებას.

ახლა რუსეთი, ცივი ომის დასრულების შემდგომ, ყველაზე დიდ ეკონომიკურ დაღმასვლას განიცდის. მსოფლიო ბანკის გათვლებით, 2022 წელს რუსეთის მთლიანი სამამულო პროდუქტის 11%-ით შემცირებაა ნავარაუდები (World Bank, 2022), ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით ეს მაჩვენებელი 8.5%-ია (IMF, 2022). ზოგიერთი ვარაუდით კი, შემცირების ეკონომიკური მასშტაბი 15%-ს აღწევს (IIF, 2022). ცხადია, ეს ყველაფერი მეტწილად დამოკიდებულია უკვე დაწესებული შეზღუდვების პოტენციურ შედეგებსა და ახალი სანქციების ამოქმედების შესაძლებლობაზე, მათ შორის, ენერგოპროდუქტების ემბარგოზე. 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად, რუსეთის ეკონომიკა დაახლოებით 8%-ით შემცირდა, ახლა კი ეს მაჩვენებელი 2-ჯერ მეტია. შესაბამისად, მის მასშტაბურობაზე შეგვიძლია გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ. მნიშვნელოვანია, რომ დროთა განმავლობაში სანქციებით გამოწვეული დანაკარგები უფრო თვალსაჩინო და ხელშესახები გახდება, რაც მომდევნო წლებში რუსეთში სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას მეტად დაამძიმებს. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის გათვლებით, რუსეთი 2023 წლის ბოლომდე დაკარგავს ბოლო 15 წლის განმავლობაში შექმნილ დოვლათს (IIF, 2022). ამის მიზეზი, ერთი მხრივ, შემცირებული შიდა მოთხოვნა, ხოლო, მეორე მხრივ, ვაჭრობასთან დაკავშირებული სანქციების პაკეტის გაფართოების შემთხვევაში, მოსალოდნელზე მეტად შემცირებული ექსპორტის გამო საბიუჯეტო შემოსავლების მკვეთრი კლება იქნება.

ცხადია, რუსულ სამხედრო აგრესიას გლობალური ეკონომიკური შედეგებიც მოჰყვა: ფასები გაიზარდა ძირითადი მოხმარების პროდუქტებზე, დაირღვა მიწოდების ჯაჭვები და შეფერხდა საერთაშორისო ვაჭრობა. თუმცა, უკრაინაში შეჭრის შემდეგ რუსეთის ფინანსური დანაკარგები საკმაოდ დიდია. საინტერესოა, რა ფაქტობრივი შედეგების წინაშე დადგა რუსეთის ფედერაცია სანქციების ზემოქმედებით, რამდენად შესწევს მას უნარი გააგრძელოს შეზღუდვების პირობებში ცხოვრება და აგრესიული საგარეო პოლიტიკის გატარება.

მოქმედი სანქციების მოკლე მიმოხილვა

მიმდინარე წელს, დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციების მასშტაბურობით, რუსეთმა ანტირეკორდი დაამყარა და გადაუსწრო ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა ირანი, სირია, ვენესუელა, კუბა და ჩრდილოეთი კორეა. ესაა ყველაზე ფართო სანქციების პაკეტი, რაც კი საერთაშორისო თანამეგობრობას რომელიმე ქვეყნისთვის დაუწესებია. შეზღუდვები შეეხო რუსეთისთვის მნიშვნელოვან თითქმის ყველა ინდუსტრიას, ფინანსურ ინსტიტუტსა და ფიზიკურ პირს. ცხადია, აქ ყველა შეზღუდვას ვერ განვიხილავთ, თუმცა შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე მათგანი, რამაც რუსეთის ეკონომიკას ყველაზე დიდი ზიანი მიაყენა.

უპირველესად, რუსეთის ცენტრალურ ბანკს გაეყინა 640 მილიარდი აშშ დოლარის ფინანსური რეზერვის უდიდესი ნაწილი და მისი საბანკო სისტემის უმეტესობა გაითიშა „მსოფლიო ბანკთაშორისი ფინანსური ტელეკომუნიკაციის საზოგადოებიდან“ (SWIFT). რუსეთის უმსხვილეს ბანკებს, როგორებიცაა Sberbank და VTB ბანკი, აეკრძალათ დოლარში ტრანზაქციები და გაეყინათ აქტივები. ქვეყანა დატოვეს „ვიზამ“, „მასტერკარდმა“ და „ამერიკან ექსპრესმა“. რუსულ კომპანიებს აეკრძალათ ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა. რუსეთისთვის საწარმოო შესაძლებლობების შეზღუდვის მიზნით დასავლეთის ქვეყნებმა საკუთარ კომპანიებს მისთვის მიკროჩიპების, სამხედრო ტექნოლოგიების, სამხედრო და ორმაგი დანიშნულების საქონლისა და საწარმოო ნედლეულის მიწოდება აუკრძალეს. რამდენიმე ქვეყანამ უარი თქვა რუსულ ნავთობზე, გაზსა და ქვანახშირზე. გერმანიამ კი „ჩრდილოეთი ნაკადი 2-ის“ სერტიფიცირების პროცესი შეაჩერა, ხოლო ევროპის პორტების უმეტესობამ რუსული გემების მიღება აკრძალა. ქვეყანა დატოვა 400-ზე მეტმა საერთაშორისო კომპანიამ. საავტომობილო და საავიაციო გიგანტებმა, მათ შორის, სათადარიგო ნაწილების უმსხვილესმა მწარმოებლებმა, უარი თქვეს რუსეთში თავისი პროდუქციის გაყიდვაზე. მსოფლიოს უმსხვილესმა თვითმფრინავების სალიზინგო კომპანიამ კი რუსეთის ავიახაზებთან სალიზინგო საქმიანობის შეწყვეტის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. სანქციების ბოლო პაკეტი კრძალავს რუსეთიდან ისეთი პროდუქტების იმპორტს, როგორებიცაა ხე-ტყე, რეზინი, ცემენტი, სასუქები, მაღალი ხარისხის ზღვის პროდუქტები და ალკოჰოლური სასმელები. ევროკავშირი ემბარგოს აწესებს რუსულ ქვანახშირზე და მუშაობს რუსული ნავთობის აკრძალვის ე.წ. ჭკვიან მექანიზმზე. სანქციების სია, ქვეყნების მიხედვით, საკმაოდ ვრცელია. ვნახოთ, რა ეკონომიკური შედეგები მოუტანა ამ შეზღუდვებმა რუსეთს.

სანქციების გავლენა რუსულ ეკონომიკაზე

დასავლეთის ეკონომიკური სანქციების ამოქმედებიდან ძალიან მალე რუსეთი კონკრეტული შედეგების წინაშე დადგა – რეკორდულად გაუფასურებული ეროვნული ვალუტა, მოსკოვის დახურული საფონდო ბირჟა, რუსული კომპანიების აქციების საერთაშორისო ბირჟებზე დრამატულად დაცემული ფასები, დაცარიელებული თაროები მაღაზიებში და სხვა. რუსული სამხედრო აგრესიის

გაგრძელების კვალდაკვალ, შეზღუდვებმა სხვადასხვა სფერო მოიცვა, რამაც რუსეთის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ინდუსტრიასა თუ ფინანსურ ინსტიტუტზე იქონია გავლენა.

ენერგომატარებლები

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფედერაცია ტერიტორიულად მსოფლიოში ყველაზე დიდი ქვეყანაა და იქ 145 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს, მისი ეკონომიკა საკმაოდ მოკრძალებულია. სამხედრო შესაძლებლობებთან ერთად, მისი პოლიტიკური წონის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი ენერგეტიკული რესურსებია, რითაც მსოფლიოში მოწინავე პოზიციებს იკავებს. მართალია, რუსეთს შეუძლია, რომ მსოფლიო ენერგეტიკულ ბაზარზე გაზრდილი ფასებით ისარგებლოს, მაგრამ ამის საპირწონედ ევროპასაც შეუძლია შეამციროს დამოკიდებულება რუსულ ენერგომატარებლებზე, რომლებიც რუსეთის საექსპორტო შემოსავლების მთავარი წყაროა და სახელმწიფო ბიუჯეტში გენერირებული თანხის დაახლოებით 45%-ს შეადგენს (ევროკავშირში ექსპორტირებული ნავთობისა და ბუნებრივი აირის სანაცვლოდ, რუსეთი დღეურად 700 მილიონ აშშ დოლარს იღებს) (IEA, 2022).

დასავლური სანქციების ეკონომიკური ეფექტი ბევრად უფრო დამანგრეველი იქნებოდა რუსეთისთვის, რომ არა მისი ენერგეტიკული რესურსები და მათზე მსოფლიოს დამოკიდებულება. ამ ეტაპზე სანქციები ვრცელდება ყველა კრიტიკულად მნიშვნელოვან ინდუსტრიაზე, გარდა ენერგეტიკისა. ჯერჯერობით, ევროკავშირში ამ საკითხზე შეჯერება ვერ ხერხდება. ფაქტია, რომ თუ დასავლეთი რუსეთის ენერგოპროდუქტებს დაარტყამს, ეს უკანასკნელი საექსპორტო შემოსავლების ძირითად წყაროს დაკარგავს. რამდენიმე ქვეყანამ რუსულ ნავთობსა და გაზს უკვე დაადო ემბარგო. მიუხედავად იმისა, რომ მათი დამოკიდებულება რუსულ რესურსებზე საკმაოდ დაბალია, პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს მაინც ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა.

ამ დროისთვის რუსული ენერგოპროდუქტების შექენაზე უარი თქვეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, კანადამ და დიდმა ბრიტანეთმა, რომელიც 2022 წლის ბოლოსთვის გეგმავს სრულად გათავისუფლდეს რუსეთის ენერგოდამოკიდებულებისგან. ცხადია, ასეთი გადაწყვეტილებებით რუსულ ეკონომიკას მნიშვნელოვანი თანხები მოაკლდება: აშშ-ის შემთხვევაში ეს არის დაახლოებით წლიური 4.7 მილიარდი აშშ დოლარი, კანადის – 550 მილიონი აშშ დოლარი და დიდი ბრიტანეთის – 4 მილიარდი აშშ დოლარი. ევროკავშირში რუსეთის ენერგობლოკადის საკითხი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ერთი მხრივ, მთელი რიგი ქვეყნები ცდილობენ ალტერნატიული წყაროები მოიძიონ, შეამცირონ დამოკიდებულება ან უარი თქვან რუსულ ენერგოპროდუქტებზე. მაგალითად, იტალიამ, რომელიც ბუნებრივი აირის 40%-ს რუსეთისგან ყიდულობს, ხელი მოაწერა შეთანხმებას ალჟირთან, გაზომარაგების გაზრდის თაობაზე. ლიეტუვამ, ლატვიამ და ესტონეთმა რუსული გაზის ყიდვის შეჩერების გადაწყვეტილება მიიღეს (Udasin, 2022). თუმცა, მეორე მხრივ, საკითხის ასე გადაწყვეტას ეწინააღმდეგებიან ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა გერმანია, ავსტრია და უნგრეთი (Hessler, 2022).

დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციების მეხუთე პაკეტი ითვალისწინებს ევროკავშირში რუსული ქვანახშირის იმპორტის აკრძალვას. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი სავაჭრო კონტრაქტები არ გაფორმდება, აგვისტოდან რუსეთი ვეღარ განახორციელებს ქვანახშირის ექსპორტს და წლიურ 8 მილიარდ ევროს დაკარგავს (European Commission, 2022). ამ სანქციის დაწესება იმით არის ნაკარნახევი, რომ ევროკავშირში რუსული ქვანახშირის იმპორტი დაახლოებით 19 პროცენტია (შედარებისთვის, ნავთობის იმპორტი შეადგენს 36.5%-ს, ბუნებრივი აირისა კი – 41.1%) და ის ნაკლებად დააზიანებს ევროგაერთიანების ეკონომიკას.

ცნობილია, რომ მზადდება სანქციების მეექვსე პაკეტი და მიმდინარეობს მუშაობა რუსული გაზისა და ნავთობის აკრძალვის ე.წ. ქვიანი მექანიზმის შემუშავებაზე. სავარაუდოდ, მიმდინარეობს მსჯელობა ევროპის ეკონომიკურ დანაკარგებზე, რადგან გაზისა და ნავთობის შეზღუდვა, რუსეთთან ერთად, ევროპასაც მნიშვნელოვნად დააზარალებს (Sims, 2022). ამ ეტაპზე, ახალი პაკეტის დეტალების შესახებ მეტი არაფერია ცნობილი. კრემლიდან მოსული ბოლო ინფორმაციით კი, რუსეთმა პოლონეთსა და ბულგარეთს გაზომარაგება შეუწყვიტა, რადგან ამ ქვეყნებმა რუსეთის მოთხოვნა უგულებელყვეს და ბუნებრივი აირის საფასურის რუბლში გადახდაზე უარი განაცხადეს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება ორივე ქვეყნისთვის საკმაოდ მძიმე იყო (მიმდინარე წლის პირველ კვარტალში პოლონეთმა თავისი გაზომარაგების 53%, ხოლო ბულგარეთმა 90% სწორედ რუსეთისგან შეიძინა).

სანქციების ქვეშ მოჰყვა გაზსადენი „ჩრდილოეთი ნაკადი 2“. მისი სერტიფიცირების პროცესი გერმანიამ მას შემდეგ შეაჩერა, რაც რუსეთის პრეზიდენტმა უკრაინის რევიონების, დონეცკისა და ლუგანსკის, ე.წ. დამოუკიდებლობა აღიარა. ამ 11 მილიარდდოლარიანი პროექტის ბედი, რომელსაც რუსეთიდან ბალტიის ზღვის გავლით ევროპისთვის ბუნებრივი აირი უნდა მიეწოდებინა, ახლა, ერთი მხრივ, ევროკავშირის იმ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული, რომლებსაც ეკონომიკური შეზღუდვების თაობაზე მიიღებს, ხოლო მეორე მხრივ კი იმაზე, თუ როგორ წარმართება რუსეთის აგრესიული საგარეო პოლიტიკა.

საბანკო ინდუსტრია

2014 წელს, ყირიმის ანექსიის შემდეგ, რუსეთის ფედერაცია დასავლური სანქციების სამიზნე გახდა. დაწესებული შეზღუდვების შედეგად ყირიმში აიკრძალა უცხოური ბიზნესის საქმიანობა, ნავთობის საბურღი მაღალტექნოლოგიური დანადგარების რუსეთისთვის მიწოდება და შემცირდა რუსული კომპანიების წვდომა დასავლური კაპიტალის ბაზრებზე. ეს სანქციები ნაკლებეფექტური გამოდგა როგორც ნავთობმოპოვების, ისე საინვესტიციო და ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით. ცხადია, რუსეთმა იცოდა, რომ მომავალში მის ნებისმიერ აგრესიულ ქმედებას აუცილებლად მოჰყვებოდა დასავლეთის მკაცრი ეკონომიკური სანქციები. სწორედ ამიტომ 2014 წლიდან კრემლის სტრატეგია დოლარზე დამოკიდებულების შემცირებას ისახავდა მიზნად, რათა უცხოურ ვალუტას ქვეყნის ეკონომიკაზე ნაკლები გავლენა მოეხდინა (ცნობისთვის, მსოფლიო რეზერვების 60% და საერთაშორისო ვაჭრობის

80% სწორედ დოლარშია დენომინირებული). რუსეთის ეს სტრატეგია მოიცავდა ცენტრალური ბანკის რეზერვების ზრდასა და პარალელურად, მასში დოლარის წილის შემცირებას, ეროვნული ვალუტის გაძლიერებასა და საკუთარი შიდა საგადასახადო სისტემის შექმნას. 2014 წლის შემდეგ მისი ეროვნული რეზერვები 370 მილიარდიდან 640 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა, მათ შორის, გაორმაგდა ოქროს ხვედრითი წილიც. გარდა ამისა, რუსეთი ცდილობდა საკუთარი რეზერვების წილის შემცირებას ევროპის ქვეყნებში და ანაწილებდა ისეთ სახელმწიფოებში, როგორებიცაა ჩინეთი და იაპონია (Miller, 2022). ეს მიდგომა დასავლურ სანქციებთან გამკლავების კარგი შესაძლებლობა იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ თავად რუსეთის ცენტრალური ბანკის რეზერვები არ გაიყინებოდა.

ცენტრალური ბანკი ქვეყნის შიდა სავალუტო ბაზრის სტაბილურობის შენარჩუნებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. შესაბამისად, მის რეზერვებზე დარტყმა რუსეთისთვის საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. ცენტრალური ბანკის რეზერვების ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება სპეკულაციური ქმედებების რისკების დაზღვევა და ეროვნული ვალუტის სტაბილურობის უზრუნველყოფაა, მაგ., სავალუტო სპეკულაციების შემთხვევაში, მას შეეძლო დოლარის, ევროსა და გირვანქა სტერლინგის ეროვნულ ვალუტაში გადაცვლით რუბლის ღირებულების გამყარება. ამჯერად ეს შესაძლებლობაც მინიმუმამდეა დასული. აღნიშნული 640 მილიარდი აშშ დოლარი განაწილებული იყო როგორც ევროპის საბანკო ინსტიტუტებში, ისე აზიაში. დასავლეთის მიერ რუსეთის ცენტრალური ბანკის რეზერვების გაყინვის შემდეგ რუსეთს შეუძლია გამოიყენოს ჩინეთში განთავსებული რეზერვები ჩინურ იუანში, რაც მთლიანი აქტივების დაახლოებით 13%-ია და საკუთარ ტერიტორიაზე განთავსებული ოქროს რეზერვები, რაც 21%-ს შეადგენს. ჯამურად, ეს თანხა 220 მილიარდ აშშ დოლარს აღწევს. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ლონდონის ოქროს ცენტრმა რუსეთიდან ოქროს ზოდების შესყიდვა აკრძალა, რითაც მას რეალიზაციის უდიდესი ბაზარი დაუხურა. ამ გადაწყვეტილებას შეუერთდა ამერიკის შეერთებული შტატებიც, რომელმაც თავის მოქალაქეებს რუსული ოქროთი ნებისმიერი ტრანზაქცია აუკრძალა.

უკრაინაში შეჭრის შემდეგ რუსეთი დატოვეს ფინანსური სერვისების საერთაშორისო კორპორაციებმა: „ვიზამ“, „მასტერქარდმა“ და „ამერიკან ექსპრესმა“, რომლებიც მსოფლიო სადებეტო და საკრედიტო ბარათების 90%-ს ფლობენ (BBC, 2022). ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთის ტერიტორიაზე ამ ბარათებით გადახდა ვერ მოხდება და მისი მოქალაქეები ვერც სხვა ქვეყნებში გამოიყენებენ რუსეთში გაცემულ ბარათებს. 2014 წლიდან რუსეთი მუშაობს საკუთარ გადახდის სისტემაზე „MIR“, რომელიც სულ რამდენიმე ქვეყანაში გამოიყენება.

რუსეთის საბანკო სისტემისთვის დაწესებული ერთ-ერთ უდიდესი შეზღუდვა „მსოფლიო ბანკთაშორისი ფინანსური ტელეკომუნიკაციის საზოგადოებიდან“ (SWIFT) გარიცხვა იყო. ამან გაართულა უცხოეთიდან ფინანსური ოპერაციების განხორციელება, რაც ბიზნესის გამართულ მუშაობაზე პირდაპირ გავლენას ახდენს. გარდა ამისა, ზოგმა ქვეყანამ ინდივიდუალურად დაუწესა სანქციები რუსულ ბანკებს. სადღეისოდ სანქცირებული მსხვილი ფინანსური ინსტიტუტები რუსული საბანკო სექტორის 50%-ზე მეტს შეადგენს. ამ პაკეტში მოხვდნენ ისეთი გიგანტები, როგორებიცაა Sberbank, VTB ბანკი და Alfa ბანკი.

ეროვნული ვალუტა

რუსული სამხედრო აგრესიის საპასუხოდ დაწესებულ სანქციებს მყისვე მოჰყვა რუბლის მკვეთრი გაუფასურება. ომის დაწყებამდე ერთი ამერიკული დოლარის ღირებულება 80 რუბლი იყო, 7 მარტისთვის კი ეს მაჩვენებელი 142 რუბლამდე ავიდა. ეროვნული ვალუტის სრული კოლაფსის თავიდან ასაცილებლად ცენტრალურმა ბანკმა სხვადასხვა მეთოდს მიმართა, მაგ., რუსი ექსპორტიორები ვალდებული არიან დოლარში მათი შემოსავლების 80 პროცენტი რუბლში გადაცვალონ, რათა ქვეყნის სავალუტო ბაზარს მიეწოდოს დოლარი. ამასთანავე, უცხოელებს დროებით არ აქვთ უფლება გაყიდონ რუსულ კომპანიებში არსებული საკუთარი აქციები თუ ობლიგაციები და ქვეყნის გარეთ გადარიცხონ დივიდენდები (Interfax, 2022). SWIFT-იდან რუსული ბანკების გათიშვა და ეროვნული ბანკის რეზერვების გაყინვა ის სანქციებია, რომლებმაც რუბლის გაუფასურებას ყველაზე მეტად შეუწყო ხელი.

მარტის მეორე ნახევრიდან რუბლმა გამყარება დაიწყო, რასაც რამდენიმე მიზეზი განაპირობებს: პირველ რიგში, ცენტრალურმა ბანკმა რუბლის უცხოურ ვალუტაში გადაცვლა გაართულა და საბროკერო გზით უცხოური ვალუტის შეძენაზე 30%-იანი საკომისიო დააწესა, რამაც, თავის მხრივ, გავლენა მოახდინა ვალუტის მოთხოვნაზე (Reuters, 2022). გარდა ამისა, ცენტრალურმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 9.5%-იდან 20%-მდე გაზარდა, 11 აპრილს კი 17%-მდე შეამცირა, რაც ბოლო პერიოდში სამომხმარებლო ფასების ზრდის ტემპის შენელებითა და რუბლის გამყარების ტენდენციით ახსნა (Nelson, 2022). მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ზრდის მთავარი მიზანი რუბლში გასაცემი სესხების შემცირება იყო, რაც უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნასაც ამცირებდა, რადგან საკრედიტო ან/და სავაჭრო ოპერაციებისთვის ნაკლებად მოხდებოდა მისი უცხოურ ვალუტაში კონვერტირება. ამასთანავე, 2022 წლის 9 სექტემბრამდე ძალაშია დეპოზიტების გატანაზე 10 000-დოლარიანი ზედა ზღვარი და შეზღუდვა, რომელიც რუსეთის რეზიდენტების მიერ არარეზიდენტებზე უცხოურ ვალუტაში სესხების გაცემას კრძალავს (Ljunggren, 2022). მონეტარული კუთხით რუსეთის მთავრობის ნაბიჯები, ერთი მხრივ, მოიცავს ბაზრისთვის უცხოური ვალუტის მიწოდების ხელშემწყობ ფაქტორებს, ხოლო მეორე მხრივ, მისი მოთხოვნის შემზღუდავ ზომებს, რაც ეროვნული ვალუტის ღირებულების შენარჩუნების მთავარი ფაქტორებია.

რუსეთის შემთხვევაში, ეროვნული ვალუტის სტაბილურობის განმსაზღვრელი ფაქტორი მისი ენერგეტიკული რესურსებია. მიუხედავად დაწესებული სანქციებისა და ეკონომიკური ბარიერებისა, ომის დაწყებიდან ენერგორესურსებზე ფასები გაიზარდა. მაგალითად, ბუნებრივი აირის ფასმა 60%-ით მოიმატა და 2008 წლის შემდეგ ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია (Bloomberg, 2022), ხოლო ნედლი ნავთობის ფასის ზრდამ 35% შეადგინა (Mascarenhas, 2022). ცხადია, რუსეთის ფედერაციისთვის ეს დამატებით შემოსავალს ნიშნავს. ბლუმბერგის გათვლებით, მიმდინარე წელს რუსეთი ენერგორესურსების ექსპორტიდან 320.7 მილიარდ დოლარს მიიღებს, მაშინ როდესაც გასულ წელს ეს თანხა 235.6 მილიარდს შეადგენდა (Bloomberg, 2022). იმ ფონზე, როდესაც ბევრმა ქვეყანამ აკრძალა რუსეთში ექსპორტი, ხოლო უცხოური კომპანიების ქვეყნიდან გასვლა იმპორტს ამცირებს,

ნაკლებია უცხოური ვალუტის გადინება, რაც ვალუტის გაცვლით კურსზე დადებითად მოქმედებს. ამგვარად, რუბლზე და ზოგადად რუსეთის ეკონომიკაზე მოქმედი ძირეული ფაქტორებიდან ყველაზე ეფექტიანი სწორედ ენერგორესურსებით მიღებული თანხების შემცირება იქნება, რაც ეროვნულ ვალუტას კოლაფსამდე მიიყვანს.

დასავლეთის მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციების მიუხედავად, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში რუსეთში ფულადი ნაკადები გაიზარდა, რაც განპირობებული იყო უკრაინაზე თავდასხმის შედეგად ენერგორესურსებზე მომატებული ფასით. პირველ კვარტალში რუსეთის ფედერაციამ მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე რეკორდული სიჭარბე აჩვენა, რადგან ენერგეტიკულ რესურსებზე ფასების ზრდამ საექსპორტო შემოსავლების მატება გამოიწვია. რუსეთის ცენტრალური ბანკის გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, 2022 წლის პირველი სამი თვის ნამატმა თანხამ 58.2 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (22.5 მილიარდი აშშ დოლარი) 2.5-ჯერ მეტია (Phillips, Peck, 2022). იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი ფაქტობრივად მოწყვეტილია მსოფლიო ეკონომიკის დიდ ნაწილს, მიმდინარე ანგარიშის სიჭარბე იმას ნიშნავს, რომ ქვეყანას შეუძლია მიიღოს ფული, რომელიც სჭირდება ომის დასაფინანსებლად, საჯარო უწყებების თანამშრომლების ანაზღაურებისთვის და სავალუტო ბაზრებზე ვალუტის სტაბილიზაციისთვის.

რუსული რუბლი, რომელიც თებერვლის ბოლოს დაახლოებით 75%-ით დაეცა, ახლა, ფაქტობრივად, სრულად აღდგენილია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთი ცდილობს შეეგუოს „ეკონომიკურად გარიყულის“ სტატუსს. ცხადია, მიმდინარე ანგარიშის სიჭარბე არ ნიშნავს, რომ რუსეთის ეკონომიკა ან მისი მოსახლეობა აყვავდება. თუმცა სიჭარბე, ანუ ექსპორტს მინუს იმპორტი, ნაწილობრივ ასახავს იმ ფაქტს, რომ ქვეყანაში იმპორტი მკვეთრად შემცირდა, რაც განპირობებულია დასავლური კომპანიების ქვეყნიდან გასვლითა და პირველ კვარტალში რუბლის სისუსტით.

რუსეთს ტოვებენ უცხოელი ინვესტორებიც. გასულ წელთან შედარებით კაპიტალის წმინდა გადინება 270%-ით გაიზარდა, რაც, თანხაში გამოსახული, 64,2 მილიარდი დოლარია. გასული წლის ანალოგიური პერიოდის კაპიტალის წმინდა გადინება 17.5 მილიარდი დოლარი იყო. ცხადია, ეს პროცესი უარყოფით გავლენას ახდენს რუსეთის გრძელვადიან ეკონომიკურ სიჭანსაღებზე, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ იგი თითქმის არ აბრკოლებს პუტინს უკრაინაში არჩეული გზის გატარებისას (Phillips, Peck, 2022).

ინფლაცია და სამომხმარებლო ფასები

მსოფლიო ეკონომიკა ჯერ კიდევ არაა გამოსული პანდემიით გამოწვეული შოკებიდან. მიმდინარე წელს, რუსეთის სამხედრო აგრესიამდეც კი, ბევრი ქვეყანა განიცდიდა ფასების საერთო დონის ზრდას, რაც მეტწილად გამოწვეული იყო მოთხოვნა-მიწოდებას შორის ბალანსის დარღვევითა და ცენტრალური ბანკების მხრიდან მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებით. ცხადია, გლობალურ ეკონომიკურ გავლენებთან ერთად, პირველ რიგში, ეს საკითხი რუსეთის მოსახლეობაზეც

საკმაოდ მტკივნეულად აისახა. აგრესორი ქვეყნის სამხედრო მოქმედებების პარალელურად, რუსეთში ინფლაციის დონე გაიზარდა. არსებული მონაცემების თანახმად, მარტში რუსეთში წლიური ინფლაციის დონემ 16.7%-ს მიაღწია (Smith, 2022). ქვეყანაში საარსებო მინიმუმი 14%-ით გაიზარდა. სამომხმარებლო კალათაში ზოგიერთი პროდუქტის ფასის ზრდამ კი 40%-საც გადააჭარბა (Liang, 2022). სამხედრო ინტერვენციიდან ოთხ დღეში რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 9.5%-იდან 20%-მდე გაზარდა, რაც ავტომატურად იწვევს კომერციული ბანკების მხრიდან გაცემულ და გასაცემ სესხებზე საპროცენტო განაკვეთის ზრდას, ეს კი, ქვეყანაში საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნას ამცირებს, ხოლო ფასების ზრდას ანელებს (Kalish, 2022).

დასავლეთის ქვეყნებში წლიური ინფლაციის დონე 5%-იდან 8%-მდე მერყეობს, ხოლო რუსეთის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 2-ჯერ მეტია. ქვეყანაში კიდევ უფრო მეტად გაძვირდა ზოგიერთი მაღალი საბაზრო ღირებულების მქონე ნივთი, მაგალითად, ელექტროტექნიკა, მანქანები და სხვა. რუბლის მკვეთრი და სწრაფი გაუფასურებიდან გამომდინარე, ადამიანები ცდილობენ ძვირადღირებული პროდუქციის შეძენას, რაც, ფიქრობენ, რომ მინიმალურ ფინანსურ დანაკარგებს მოუტანს. გარდა ამისა, ქვეყნის შემცირებული იმპორტი ინფლაციის ზრდის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია (Ivanova, 2022).

აპრილის მეორე ნახევრის შემდეგ ინფლაციის ტემპი შენელებულია, თუმცა მაინც მაღალ ნიშნულზე რჩება. ეს მეტწილად განპირობებულია შინამეურნეობებით, რომლებიც იმარაგებენ არამალფუჭებად პროდუქტებს და აგრძელებენ გრძელვადიანი გამოყენების სამომხმარებლო პროდუქტების შესყიდვას იმის შიშით, რომ მომავალში სანქციები ქვეყნის შიდა მიწოდების პრობლემებს კიდევ უფრო გაართულებს.

უმუშევრობა

უმუშევრობა, სავარაუდოდ, ნომერი პირველი პრობლემაა რუსეთის საშუალო მოქალაქისთვის. ეჭვგარეშეა, რომ ამ თვალსაზრისით ქვეყანაში სიტუაცია რადიკალურად არის გაუარესებული. ამ პროცესს რამდენიმე ფუნდამენტური ფაქტორი განაპირობებს. უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ბაზარი 400-ზე მეტმა საერთაშორისო კომპანიამ დატოვა (რუსეთში McDonald's 60 000 ადამიანს ასაქმებდა, ფრანგული ავტომწარმოებელი Renault – 45 000-ს, PepsiCo – 20 000-ს, ხოლო Ikea – 15 000-ს) (Pashaeva, 2022). მხოლოდ 10 უმსხვილესი კომპანიის გასვლის შედეგად 120 000 ადამიანი დარჩა სამსახურის გარეშე. ქვეყანაში აირია მიწოდების ჯაჭვები და რუსული წარმოების ქარხნებს ხშირ შემთხვევაში არ მიეწოდებათ უცხოური ნედლეული საბოლოო პროდუქტის დასამზადებლად. შესაბამისად, მათ დახურვის გარდა სხვა არჩევანი უბრალოდ არ აქვთ. აქედან გამომდინარე, დრამატულად იზრდება უსამსახუროდ დარჩენილი ადამიანების რიცხვი, რომლის ზრდაც დროთა განმავლობაში უფრო და უფრო მოსალოდნელია. დასავლური სანქციები შეეხო მომსახურების ინდუსტრიასაც, მაგ., საერთაშორისო ფრენების აკრძალვის გამო მოსკოვის შერეშეტიევოს აეროპორტმა თანამშრომლების 40% (დაახლოებით 7 000 ადამიანი) დაითხოვა სამსახურიდან. (WAN, 2022).

მიმდინარე წლის იანვარში რუსეთში უმუშევრობის დონე 4.4% იყო. ვარაუდობენ, რომ სულ რამდენიმე თვეში ეს მაჩვენებელი 8%-ს მიაღწევს, ხოლო მომდევნო წლების განმავლობაში სტაბილური 6.5% იქნება. რუსეთში უმუშევრობის დონის იგივე მაჩვენებელი (6.5%) იყო COVID-19 პანდემიის დროსაც. ცნობისათვის, 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს რუსეთში უმუშევრობის დონე 8.5% იყო, ხოლო მისი პიკი 1998 წელს – 12 % (Intellines, 2022).

დასაქმების პლატფორმა HeadHunter-ის მონაცემებით, აპრილის პირველ კვირაში, 24 თებერვლის (უკრაინაში შეჭრის თარიღი) წინა კვირასთან შედარებით, სამსახურის მაძიებელთა რიცხვი გაათმაგდა, ხოლო ვაკანსიების რაოდენობა მეოთხედზე მეტით შემცირდა. 2020 წლის ივნისის შემდეგ, როდესაც COVID-19 პანდემიის დროს დაწესებული შეზღუდვების გამო დაიხურა სანარმოები და სერვისკომპანიები, მიმდინარე წლის მარტში, ყველაზე სწრაფად ისევ მომსახურების სექტორი შემცირდა და იქ დასაქმებულთა რაოდენობა მკვეთრად დაეცა. საერთაშორისო ბიზნესების უმეტესობაც, რომელთაც რუსეთის ბაზარი დატოვეს, სწორედ მომსახურების სექტორში საქმიანობდნენ. მთლიანობაში, მსოფლიო ბანკის შეფასებით, წელს რუსეთში 2,6 მილიონი ადამიანი შეიძლება აღმოჩნდეს სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს მიღმა (Reuters, 2022).

რუსეთის ფედერაციისთვის კიდევ ერთი უმწვავესი პრობლემა ქვეყნიდან „ტვინების გადინებაა“, რომელიც ბოლო წლებში უფრო მასობრივ სახეს იღებს. დასავლური სანქციების შედეგად, უამრავმა ადამიანმა დაკარგა სამსახური ან შეუმცირდა შემოსავალი. სხვადასხვა მონაცემით, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ ქვეყანა ათასობით ადამიანმა დატოვა და სხვა ქვეყნებში დაიწყო სამსახურის ძებნა. ძირითადად, ასეთი ადამიანების კატეგორიას მიეკუთვნებიან ქალაქში მცხოვრები, განათლებული, საშუალო სოციალური კლასის მოქალაქეები. რუსეთის ელექტრონული კომუნიკაციების ასოციაციის ცნობებით, ბოლო კვირებში ქვეყნიდან 70 000-ზე მეტი IT სპეციალისტი წავიდა (Volpicelli, 2022). ცხადია, ეს ვითარება ქვეყნის ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ და შემოქმედებით განვითარებაზე უდიდეს გავლენას მოახდენს. ექსპერტების ვარაუდით, შესაძლოა უახლოეს წლებში „ტვინების გადინება“ რუსეთისთვის ყველაზე დიდ პრობლემად იქცეს (Lalljee, 2022).

წარმოება და მიწოდების ჯაჭვები

დასავლური სანქციების შედეგად უდიდესი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ სანარმოები. ერთი მხრივ, ქვეყანა დატოვეს საერთაშორისო კომპანიებმა, რომლებიც რუსეთში აწარმოებდნენ გარკვეულ პროდუქციას, ხოლო მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი შეფერხებები შეექმნათ ადგილობრივ ქარხნებს, რადგან ისინი, უმეტეს შემთხვევებში, ვეღარ იღებენ საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად საჭირო მასალასა თუ ნახევარფაბრიკატებს. პოტენციური მომწოდებლის არსებობის შემთხვევაშიც კი, პრობლემა საკმარისი ფინანსური სახსრების არარსებობა. სხვადასხვა სახის მძიმე აღჭურვილობისა და ავტომობილების მწარმოებლების მიერ რუსეთში ოპერაციების შეწყვეტის გამო, ქვეყანაში წარმოების მოცულობამ შესამჩნევი დაღმასვლა განიცადა.

ინდუსტრიულ სექტორში რუსეთის ფედერაციის შეზღუდული აქვს წვდომა დასავლეთში წარმოებულ ნახევარგამტარებზე, კომპიუტერებზე, ტელეკომუნიკაციაზე, ავტომატიზაციისა და ინფორმაციული უსაფრთხოების აღჭურვილობაზე, რაც საშუალო და გრძელვადიან პერიოდში მისთვის ტექნოლოგიური განვითარების კუთხით უდიდესი დარტყმა იქნება, ეს კი ქვეყნის მწარმოებელი და მომპოვებელი ინდუსტრიების შეფერხებას გამოიწვევს. გარდა ამისა, ევროპამ, ამერიკამ და აზიის ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებულმა ქვეყნებმა რუსეთში მიკროელექტრონული პროდუქტისა და მიკროსქემების შეტანა აკრძალეს, რაც თითქმის ყველა ინდუსტრიულ წარმოებაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია – საყოფაცხოვრებო ტექნიკიდან დაწყებული, მაღალტექნოლოგიური დანადგარებით დამთავრებული. მიკროჩიპების ყველაზე მსხვილი მწარმოებელი, რომელზეც გლობალური ბაზრის 50%-ზე მეტი მოდის, ტაივანში მდებარეობს (Khavanekar, 2022). ეს მიკროჩიპები აქტიურად გამოიყენება თავდაცვითი საშუალებების საწარმოებლად. ტაივანურმა კომპანიამ უარი განაცხადა რუსეთის მომარაგებაზე, რაც, ცხადია, მის ტექნოლოგიურ განვითარებას უდიდეს საფრთხეს შეუქმნის. გარდა ამისა, ევროპამ თავის კომპანიებს აუკრძალა შეიარაღების მწარმოებელი რუსული კომპანიებისთვის საწარმოო დანიშნულების მასალების მიწოდება.

საწარმოო საშუალებების მიწოდების თვალსაზრისით რამდენიმე ძირითადმა პრობლემამ იჩინა თავი. ერთი მხრივ, ესაა საბანკო გადარიცხვების შეჩერება, ხოლო მეორე მხრივ, რუსული აგრესიული პოლიტიკის მიმართ მწარმოებლების დამოკიდებულება. მათ არ სურთ რუსეთთან სავაჭრო ოპერაციების წარმოება. ამას სხვა ისეთი ფაქტორებიც უწყობს ხელს, როგორებიცაა: არამყარი ვალუტა, არასტაბილური ეკონომიკური გარემო, ფინანსური და პოლიტიკური რისკები და სხვა.

მიმდინარე წლის მარტიდან რუსეთის წარმოების სექტორი მკვეთრ ვარდნას განიცდის. უცხოელი და ადგილობრივი კლიენტების შემცირებულმა მოთხოვნამ, ზოგადად, წარმოების შემცირება გამოიწვია. გარდა ამისა, საგრძობლად გახანგრძლივდა მიწოდების მიერ პროდუქციის მიწოდების ვადა. შესაბამისად, მასალების სერიოზულმა დეფიციტმა, გამყიდველის მზარდმა ფასებმა, საჭაერო ტრანსპორტირების შეზღუდვამ და ამ სერვისზე ფასების ზრდამ განაპირობა ქვეყანაში შეტანის ხარჯების სწრაფი მატება (S&P Global, 2022).

ზემოაღნიშნული მოცემულობიდან გამომდინარე რუსეთში შეფერხდა მიწოდების ჯაჭვების გამართული ფუნქციონირება, რაც ბიზნესის ეფექტიანი მუშაობის საფუძველია. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მიწოდების ჯაჭვების გლობალური პრობლემა ჯერ კიდევ COVID-19 პანდემიის დროს დაიწყო, როდესაც მსოფლიო სრულად ჩაკეტილი ჩინეთის ამარა დარჩა.

საერთაშორისო ვაჭრობა

რუსეთისთვის საერთაშორისო ვაჭრობა უკიდურესად მნიშვნელოვანია როგორც საწარმოო საშუალებების მიღების, ისე სამომხმარებლო პროდუქციის შესყიდვის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთისთვის ჩინეთი ერთ-ერთი მთავარი საიმპორტო პარტნიორია, პროდუქციის უმეტესი ნაწილი მაინც

იმ ქვეყნებიდან შესდის, რომლებმაც აგრესორს მკაცრი სანქციები დაუნესეს. რუსეთის სავაჭრო ბალანსი პროფიციტულია, ანუ ქვეყნის ექსპორტი აჭარბებს იმპორტს, რაც მისი ენერგეტიკული რესურსების დამსახურებაა. ამ ეტაპზე ქვეყანაში იმპორტირებული საქონელი ძნელად მოსაპოვებელია და არ ხდება მისი მარაგების აღდგენა. რუსეთში არავინ ყიდის თავის პროდუქციას იმის შიშით, რომ ვერ მიიღებენ ანაზღაურებას ან მხოლოდ რუბლში გადაუხდიათ.

რუსეთის ფედერაციის სანარმოო, მომპოვებელი და სამომხმარებლო ინდუსტრიის ეფექტიანი ფუნქციონირება საერთაშორისო ვაჭრობის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია. სანქციებს მიერთებული ქვეყნების მიერ ზოგიერთი საქონლის დაბლოკვა რუსეთში მთელი რიგი სექტორების ჩამოშლას გამოიწვევს, იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა ალტერნატიულ მომწოდებელს ვერ ნახავს. აღსანიშნავია, რომ 46 სახელმწიფოდან, რომლებიც საერთაშორისო სანქციებს შეუერთდნენ, რუსეთში ექსპორტირებული პროდუქციის ჯამური ფასი 140 მილიარდ დოლარს აღწევს (Van Dam, Shin, Fowers, 2022).

Trade Data Monitor-ის თანახმად, რუსეთი ყოველწლიურად 11,5 მილიარდ დოლარს ხარჯავს თავის უდიდეს საიმპორტო პროდუქტზე – ავტომობილებზე. აქ ლიდერობენ გერმანია, სამხრეთი კორეა და იაპონია, რომლებსაც რუსეთის საავტომობილო ბაზრის 63% უჭირავთ. ამ ქვეყნებიდან შეწყვეტილი ექსპორტი მათი ჯამური გაყიდვების მხოლოდ 3%-ს შეადგენს, რუსეთისთვის კი ეს ბევრად უფრო მტკივნეული დარტყმაა (Van Dam, Shin, Fowers, 2022).

ვაჭრობის სფეროში დაწესებული სანქციები შეეხო ყველა ინდუსტრიას, მათ შორის – ავიაციასაც. რუსული ავიახაზები თვითმფრინავების გეგმური სერვისისა და შეკეთების მხრივ დამოკიდებულია Boeing-ის მომსახურებაზე, ხოლო სათადარიგო ნაწილების მხრივ – Airbus-ზე. საავიაციო ინდუსტრიის ორივე გიგანტმა უარი თქვა რუსეთთან თანამშრომლობაზე. შესაბამისად, ქვეყანას ემუქრება საკუთარი თვითმფრინავების შენარჩუნებისთვის საჭირო სპეციალიზებული ნაწილების ამოწურვა. ეს არის სპეციფიკური ინდუსტრია, რომელშიც საკმაოდ რთულია ისეთი ალტერნატიული მომწოდებლის ნახვა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს საავიაციო სტანდარტებს. ამგვარად, თუ რუსეთი გარკვეულ ქვეყნებთან მაინც შეძლებს ავიამიმოსვლის აღდგენას, მისი ფრენების უსაფრთხოება დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

საერთაშორისო სანქციების მძიმე ეფექტს თავად რუსეთის პრეზიდენტიც აღიარებს. ერთ-ერთ გამოსვლაში მან თქვა: „ამჟამად ჩვენთვის რთულია. რუსული ფინანსური კომპანიები, მსხვილი სანარმოები, მცირე და საშუალო ბიზნესი უპრეცედენტო ზეწოლას განიცდიან“.

რუსეთისთვის სავაჭრო პარტნიორების დივერსიფიცირება საკმაოდ რთული ამოცანა იქნება. მიუხედავად იმისა, რომ მას ჩინეთი უკვე აწვდის ტექნიკისა და ელექტრონიკის დიდ ნაწილს, ჩანაცვლება ყოველთვის არ არის შესაძლებელი. განსაკუთრებით ეს ეხება მაღალტექნოლოგიურ დანადგარებს. ამასთანავე, არ არსებობს გარანტია, რომ ჩინეთი მზად იქნება რუსეთისთვის ყველა სახის საქონლისა თუ ტექნიკის მისაწოდებლად, რადგან მათ შორისაც არსებობს უდიდესი კონკურენცია რეგიონული დომინაციის თვალსაზრისით. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩინეთი უფრო ყოვლისმომცველი თანამშრომლობისთვის მზადყოფნას გამოთქვამს

და შეძლებს კონკრეტული პროდუქტების შექმნას, ცხადია, მის წარმოებასა და მიწოდებას დასჭირდება გარკვეული დრო, რაც შეიძლება რუსეთს უბრალოდ არ ჰქონდეს (Van Dam, Shin, Fowers, 2022).

რუსეთი მჭიდროდ არის ინტეგრირებული დასავლეთის ბაზრებთან ბიზნესსერვისების, დაზღვევის, ფინანსებისა და ლოგისტიკის კუთხით. საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვები და იმპორტული პროდუქცია მისი წარმოების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენს. ამის გამო რუსეთი დიდწილად არის დამოკიდებული აშშ-ის, ევროპის, იაპონიის, სამხრეთ კორეისა და ტაივანის კომპონენტებსა და ინსტრუმენტებზე წვდომაზე. ფაქტია, რომ ამ ეტაპზე რუსეთში კომპონენტების არარსებობის პირობებში, საავტომობილო, საავიაციო ინდუსტრიები და მასობრივი წარმოების სხვა სექტორები გადარჩენისთვის იბრძვიან. მთელი ქვეყნის მასშტაბით უკვე უამრავი ქარხანა დაიხურა კომპონენტების დეფიციტის გამო, კომპლექსური წარმოების ყველა სახეობა კი შეფერხების რისკის წინაშე აღმოჩნდა (Miller. 2022).

რუსეთის სავაჭრო შეზღუდვები აუცილებლად გაართულებს მისი აგრესიული საგარეო პოლიტიკის დაფინანსებას როგორც სამხედრო მოსამსახურეების ანაზღაურების, ისე შეიარაღების წარმოების თვალსაზრისით. ამ შემთხვევაშიც, რუსეთი სხვა ქვეყნებისგან მოწოდებულ კომპონენტებზეა დამოკიდებული. სურათს თუ უფრო ფართო კუთხით შევხედავთ, ვნახავთ, რომ საწარმოო შესაძლებლობების დაქვეითების გამო ქვეყანას შესაძლოა საკუთარი წარმოების სამხედრო აღჭურვილობისა და ტექნიკის რეალიზაციაც გაუჭირდეს. მაგალითად, ინდოეთმა, რომელიც რუსული წარმოების იარაღის ერთ-ერთი მსხვილი შემსყიდველია (მისი შეიარაღების 50%-ზე მეტი სწორედ რუსეთზე მოდის), შესაძლოა სხვა პარტნიორი იპოვოს, რაც აგრესორი ქვეყნის შემოსავლებს მნიშვნელოვნად შეამცირებს.

რუსეთისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ენერგორესურსების მოპოვება. ამ დარგში ის დასავლურ ტექნოლოგიებს, მათ შორის, საბურღ საშუალებებს, აქტიურად იყენებს. ექსპერტების ვარაუდით, ენერგოინდუსტრიაში დასავლური ტექნოლოგიური ინვესტიციების გარეშე, რუსეთის ნავთობის მოპოვება გაუარესდება. რუსეთმა, ისევე როგორც ნავთობმოპოვებელი ქვეყნების უმეტესობამ, ნავთობის მოპოვება ადვილად ხელმისაწვდომი ადგილებიდან დაიწყო, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს პროცესი უფრო და უფრო რთულდება (მაგ., ციმბირი და ფიქლის საბადოები). ორივე შემთხვევაში, ნავთობის მოპოვება მოითხოვს ტექნოლოგიას, რომელიც რუსეთის საწარმოო შესაძლებლობებს აღემატება და საჭიროა დასავლეთიდან მისი მიღება. ევროპული და ამერიკული ტექნოლოგიების გარეშე ქვეყანა შესაძლოა რთულ სიტუაციაში აღმოჩნდეს და უახლოეს წლებში ნავთობის მოპოვება შეუმცირდეს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

რუსეთი ბოლო წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესამჩნევ დაღმასვლას განიცდის. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ არაერთი საერთაშორისო გამოცემა წერდა, რომ რუსეთი ინვესტორებისთვის საინტერესო ქვეყანა აღარაა. ამას მეტწილად განაპირობებს ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური გარემო, რაც

საერთაშორისო კაპიტალის დაბანდებისთვის დიდი რისკის შემცველად მიიჩნევა. ამასთანავე, მნიშვნელოვანი ფაქტორებია: სახელმწიფო წნეხის ქვეშ მოქცეული ეკონომიკა, სასამართლო სისტემა და ინვესტორის უფლებრივი მდგომარეობა. ბოლო დროის განმავლობაში რუსეთში ყველაზე მეტი ინვესტიცია 2008 წელს განხორციელდა, რომლის ღირებულებამაც 75 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. ამის შემდეგ ქვეყანაში საინვესტიციო მოცულობები მცირდება. თუ პანდემიის პერიოდის მოცემულობას არ გავითვალისწინებთ, 2019 წელს რუსეთში მხოლოდ 31 მილიარდის მოცულობის ინვესტიცია განხორციელდა. უკრაინაში აგრესიული სამხედრო მოქმედებების დაწყების შემდეგ დაწესებული სანქციები რუსულ საინვესტიციო გარემოს სრულ კოლაფსამდე მიიყვანს (World Bank, 2020).

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაწესებული სანქციების პაკეტის ერთ-ერთი ბოლო გადაწყვეტილება ითვალისწინებს ამერიკის მოქალაქეებისთვის რუსეთში საინვესტიციო საქმიანობის აკრძალვას, რომელიც რუსეთის ყველა ინდუსტრიაზე ვრცელდება. ამერიკის საგარეო აქტივების კონტროლის სამსახურმა ფართოდ განმარტა ტერმინი „ინვესტიცია“. იგი მოიცავს ნებისმიერ ტრანზაქციას, რომელიც რუსეთში მოქმედი საწარმოსთვის სახსრების, აქტივების ან კრედიტის გადაცემასთანაა დაკავშირებული. აშშ-ის მოქალაქეებს ასევე ეკრძალებათ ნებისმიერი სახით ახალი ინვესტიციის ხელშეწყობა რუსეთში, რაც პირდაპირ ზეგავლენას მოახდენს ქვეყანაში მოქმედ არაამერიკულ საწარმოებზე, რომლებსაც სურთ აშშ-იდან პერსონალის დაქირავება, ან თავიანთ საქმიანობაში ბანკების, სადაზღვევო სერვისების, მომწოდებლების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, პროგრამული უზრუნველყოფის კომპანიების ჩართვა. ეს აკრძალვა იმოქმედებს არა მხოლოდ უკვე არსებულ კომპანიებზე, არამედ პოტენციურ ინვესტორებზეც (National Law Review, 2022).

ძვირადღირებული პროდუქტების, ნავთობის გადამუშავებაში გამოყენებული აღჭურვილობის, სამხედრო დანიშნულების საქონლის, პროგრამული უზრუნველყოფისა და ტექნოლოგიის ექსპორტის მიმართულებით არსებულმა მკაცრმა შეზღუდვებმა და კონტროლმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია უცხოელი მწარმოებლების მიწოდების ჯაჭვებზე. ეს შეზღუდვაც საკმაოდ ფართოა. მაგალითად, ნახევარგამტარების ბევრ არაამერიკულ კომპანიას აღარ აქვს უფლება, რუსეთში მწარმოებლებს მიაწოდოს საკუთარი პროდუქცია, რადგან იგი ეყრდნობა აშშ-ის ტექნოლოგიასა და პროგრამულ უზრუნველყოფას. ამერიკასთან ერთად, ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის მიერ დაწესებული შეზღუდვები რუსეთის ეკონომიკას იზოლაციაში აქცევს და ძლიერ გავლენას ახდენს ქვეყანაში უცხოურ ინვესტიციებზე (National Law Review, 2022).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განსახორციელებლად უმნიშვნელოვანესია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა შიდა მოხმარება, ეროვნული ვალუტა, სტაბილური ეკონომიკური მაჩვენებლები და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობები. როდესაც ქვეყანას მსოფლიოს წამყვან ბაზრებზე შეზღუდული აქვს წვდომა, ვერ ახორციელებს ფინანსურ ოპერაციებს, გაუარესებული აქვს ეკონომიკური დეტერმინანტები და შიდა მოხმარების ბაზარს პროდუქტის შესაძენი ფული არ გააჩნია, მომგებიანი ინვესტიციის განხორციელება ნაკლებად სავარაუდოა.

ტურიზმი

ტურიზმი რუსეთის მთლიანი სამამულო პროდუქტის დაახლოებით 3.4%-ს შეადგენს. 2019 წელს ქვეყანაში 24 მილიონზე მეტი ვიზიტორი შევიდა, საიდანაც ქვეყანამ, ჯამში, 18 მილიარდ აშშ დოლარამდე შემოსავალი მიიღო (WorldData, 2020). პანდემიის დროსაც კი, 2020 წელს, ქვეყანაში 6 მილიონზე მეტი სტუმარი შევიდა, რამაც ქვეყანას 5 მილიარდამდე აშშ დოლარი მოუტანა. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებით, რუსეთი საერთაშორისო ტურიზმის სფეროში მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთში ტურიზმის ინდუსტრია იზრდებოდა. თუმცა, ბოლოდროინდელი მოვლენების გამო ტურიზმის შემდგომი განვითარება ეჭვქვეშ დადგა. უპირველეს ყოვლისა, უამრავი ქვეყნის მოსახლეობაში გაჩნდა პროტესტი რუსეთის ქმედებების მიმართ. დაიწყო კამპანიები, სადაც ადამიანები ერთმანეთს მოუწოდებენ აღარ იყიდონ რუსული წარმოების პროდუქცია და არ შეუწყონ ქვეყანას ხელი ეკონომიკური სარგებლის მიღებაში. ასეთივე დამოკიდებულებაა რუსეთში მოგზაურობასთან დაკავშირებითაც. იმ ადამიანებს კი, ვინც ამ ქვეყანაში მოგზაურობას გადაწყვეტს, წინ მთელი რიგი პრობლემები დახვდებათ, მაგ.: გაძვირებული ფასები, საკვები პროდუქტების ნაკლებობა, უმეტესად დახურული ტურისტული ღირსშესანიშნაობები, მძიმე ზოგადი ეკონომიკური ფონი და სხვა. აქედან გამომდინარე, რუსეთში ტურიზმის ისე განვითარება, რომ ომამდელ დონეს მიაღწიოს, ამ გადმოსახედიდან, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

გლობალური მაკროეკონომიკური ეფექტი

რუსეთი, საერთაშორისო ვაჭრობისა და მიწოდების ჯაჭვების ერთ-ერთი უმსხვილესი რგოლია, რომელიც წამყვან ადგილს ინარჩუნებს მსოფლიოსთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი პროდუქციის მიწოდებაში. ამ სახის პროდუქტის წარმოების მხრივ მას მსოფლიოში მესამე ადგილი უკავია ნავთობის, ხოლო მეორე – ბუნებრივი აირის მოპოვებით, შედის ხუთეულში ფოლადის, ნიკელისა და ალუმინის წარმოებით და პირველ ადგილზეა ხორბლის წარმოებით. ცნობისთვის, გლობალური ხორბლის ვაჭრობის 20% სწორედ რუსეთზე მოდის და მისგან მიღებულ პროდუქტს ყველა ქვეყნის სამომხმარებლო კალათაში პირველი ადგილი უჭირავს. უკრაინა კი მსოფლიოში მზესუმზირას ზეთის უმსხვილესი მწარმოებელი ქვეყანაა, რომელსაც ბაზრის 40%-იანი წილი უჭირავს. გარდა ამისა, იგი მსოფლიო ხორბლის ბაზრის 9%-ის და სიმინდის ბაზრის 16%-ის მომწოდებელია (Whiting, 2022). ამ მოცემულობიდან გამომდინარე, უკრაინაში რუსული სამხედრო აგრესიის პირველივე დღიდან მსოფლიოში მკვეთრად გაიზარდა ნავთობპროდუქტების, მეტალებისა და გარკვეული სახის საკვები პროდუქტების ფასები.

უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, მიმდინარე წლის 24 თებერვლიდან, მსოფლიოს მოსახლეობამ და მწარმოებელმა კომპანიებმა საკუთარ თავზე გამოსცადეს გაზრდილი ფასები. ამ პროცესებმა ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით ევროპაში, გამოიწვია დაჩქარებული და გახანგრძლივებული ინფლაცია, რაც, თავის მხრივ, ამცირებს ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს. რუსულ აგრესიამდეც

კი, ზოგიერთი წამყვანი ქვეყნის ცენტრალური ბანკი აგრძელებდა მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების კურსს, რომელიც აუცილებელი იყო უკვე არსებულ მაღალ ინფლაციასთან გასამკლავებლად. არსებული მოცემულობის გათვალისწინებით, მოსალოდნელია მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება, მაგრამ ოდნავ შენელებული ტემპით. მეორე მხრივ, ენერგეტიკული რესურსების მაღალი ფასები და მიწოდების ჯაჭვების შეფერხება უფრო მაღალ ინფლაციას გამოიწვევს. ამრიგად, ცენტრალურ ბანკებს ვითარების დასაბალანსებლად რთული გადაწყვეტილებების მიღება მოუწევთ (Kalish, 2022).

ფასების საყოველთაო დონის ზრდასთან ერთად მსოფლიოში უდიდესი პრობლემა შეიქმნა მიწოდების ჯაჭვების გამართული ფუნქციონირების მხრივაც. მიუხედავად იმისა, რომ გლობალური პანდემიის შემდეგ ბევრი იმედოვნებდა მდგომარეობის გაუმჯობესებას, ფაქტია, რომ არსებითად არაფერი შეცვლილა და შეიძლება ითქვას, რომ ვითარება გაუარესდა კიდევ. შესაძლოა, ამ პროცესმა ზოგიერთ მწარმოებელზე მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინოს, თუმცა შეფერხებები და ვადების ცვლილება თითქმის ყველა მიწოდების ჯაჭვზე ვრცელდება. ეს პროცესი გლობალურ დონეზე შემდეგი სახით იჩენს თავს: შეფერხებული სავაჭრო მარშრუტები, ნედლეულის შემცირებული ხელმისაწვდომობა, ნავთობისა და ენერჯის გაზრდილი ხარჯები და ტრანსპორტირების არასტაბილური ან მზარდი ღირებულება (Whiting, 2022).

სანქციების ამოქმედების შემდეგ ზოგმა ქვეყანამ ისეთი ნაბიჯები გადაიდგა, რაც პოტენციურად ზრდიდა მიწოდების ჯაჭვებზე უარყოფითი ზემოქმედების ალბათობას. თუმცა, პოლიტიკური თვალსაზრისით ეს ნაბიჯები სწორად მიიჩნის, რადგან რუსეთისთვის ეკონომიკური ზიანის მიყენებისკენ იყო მიმართული. ასეთი გადაწყვეტილებებიდან შეგვიძლია გავიხსენოთ, მაგალითად, ბრიტანეთის მიერ რუსული გემებისთვის პორტების დახურვა, რასაც შემდგომში იტალია, ბელგია, რუმინეთი და ლიეტუვაც შეუერთდნენ; ცის დახურვა და სხვა. შედეგად, თვითმფრინავებს, რომლებიც გადაადგილდებიან ევროპასა და აზიას შორის, უფრო გრძელი და ძვირი მარშრუტების გავლა უწევთ. რუსული და უკრაინული სატვირთო საჰაერო ხომალდების შეფერხება იწვევს გლობალური ტევადობის შემცირებას, რაც ნაკლები პროდუქტის გადაზიდვასა და მეტი ფრენის განხორციელების საჭიროებას ნიშნავს. აღსანიშნავია ისიც, რომ სატვირთო გემებზე მუზღვაურების დაახლოებით 14% რუსი ან უკრაინელია და თუ მათი ჩანაცვლების საჭიროება გაჩნდება, გადაზიდვის ინდუსტრიას მუშახელის პრობლემა შეექმნება. ამასთან ერთად, მკვეთრად გაიზარდა ტვირთების გადაზიდვის დაზღვევის ღირებულება. პოტენციური დეფიციტის ან შეფერხების შიშით გაძვირდა სამრეწველო ლითონები (მაგ., ალუმინი) და საკვები პროდუქტები. ნავთობის ტანკერებით ტრანსპორტირების ღირებულებაც გაიზარდა, რადგან რუსული და უკრაინული მილსადენების მუშაობა შეიძლება შეფერხდეს და მოიმატოს მოთხოვნამ ახლო აღმოსავლეთისა და დასავლეთ აფრიკის ნავთობზე (Kalish, 2022).

2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია და აჩქარა რუსეთის, როგორც ევროპის სავაჭრო პარტნიორის, მნიშვნელობის გრძელვადიანი შემცირება. თუმცა, ევროპის სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთან მჭიდროდ უკავშირდება ენერგეტიკას. რუსეთს უჭირავს ევროკავშირის გაზის იმპორტის 40%, ნავთობის იმპორტის 25%,

მყარი სანავის იმპორტის 47%. რუსული გაზის სრული გათიშვის შემთხვევაში, ევროპის ბევრ ქვეყანაში, მათ შორის გერმანიაში, სავარაუდოდ, შეფერხებები წარმოიქმნება, რაც გამოწვეული იქნება ენერჯის ალტერნატიული წყაროების დივერსიფიცირების სირთულეებით. ამერიკის შეერთებული შტატების შემთხვევაში, მიმდინარე ეკონომიკურმა კრიზისმა შესაძლოა გავლენა იქონიოს ნავთობისა და ზოგიერთი ძირითადი საქონლის ფასების ზრდის თვალსაზრისით. გარდა ამისა, თუ მიმდინარე პროცესები მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას მოახდენს ევროპის ეკონომიკაზე, ეს აუცილებლად გავრცელდება ამერიკაზეც, მისი ევროპასთან მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობების გამო. უფრო მეტიც, რუსეთი და უკრაინა არიან იმ კომპონენტების ძირითადი მწარმოებლები, რომლებიც მნიშვნელოვანია ნახევარგამტარებისა და ბატარეების წარმოებაში. აშშ კი ამ პროდუქციის მსხვილი იმპორტიორია. თუკი ამ რუსული და/ან უკრაინული წარმოების საქონლის ექსპორტი შემცირდება, გლობალური ფასი გაიზრდება, რასაც შესაძლოა დეფიცეტიც მოჰყვეს. ცხადია, ეს დააზარალებს აშშ-ის ზოგიერთ ინდუსტრიას, გაზრდის ინფლაციას და შეამცირებს საწარმოების მიერ წარმოებული საბოლოო პროდუქციის რაოდენობას. აზიასთან რუსეთის სავაჭრო ურთიერთობები ამ კონტექსტში ნაკლებად მოწყვლადია. ძირითადად, რუსეთი ჩინეთს აწვდის ენერგორესურსებს და მისგან ყიდულობს ელექტრონული და საინფორმაციო ტექნოლოგიების პროდუქტს. სავარაუდოდ, ამ ტიპის ვაჭრობა სერიოზულად არ შეფერხდება, მაგრამ მასზე შეიძლება გავლენა მოახდინოს სავაჭრო კომპანიების მიერ სანქციებისთვის თავის არიდების საჭიროებამ. გარდა ამისა, როგორც ენერჯის იმპორტიორი, აზია დაუცველია ენერგეტიკისა და სხვა საქონლის ფასების მკვეთრი ზრდისგან (Kalish, 2022).

დასკვნა

ფაქტობრივი მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორ წარიმართება ომი, დაწესდება თუ არა ახალი სანქციები აგრესორის მიმართ, რა იქნება მათი მთავარი სამიზნე და როგორ უპასუხებს რუსეთი არსებულ ან პოტენციურ შეზღუდვებს, მეტწილად განსაზღვრავს როგორც რუსეთის, ისე მსოფლიო ეკონომიკურ შედეგებს. გაურკვევლობა და სხვადასხვა სახის მოლოდინი ხელს უწყობს ფასების საყოველთაო ზრდას, ეროვნული ვალუტის მერყეობასა და სტრატეგიული საბაზრო გადაწყვეტილებების გაჭიანურებას.

დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციები რუსეთისთვის მძიმე ეკონომიკური შედეგების მომტანია, რაც რიგითი ადამიანების ყოველდღიურობაზე უდიდეს გავლენას ახდენს. მიუხედავად ამისა, სანქციებმა ჯერჯერობით იმ პოლიტიკურ მიზანს ვერ მიაღწია, რომ პრეზიდენტ პუტინის სამხედრო აგრესიის შეჩერებაში უნდა აისახოს. ამ ეტაპზე საერთაშორისო თანამეგობრობის მსხვილ სამიზნეებად რჩება მთელი რუსული საბანკო სისტემის გათიშვა SWIFT-იდან, და, რაც ყველაზე მთავარია, ემბარგო რუსულ ენერგოპროდუქტებზე. თუმცა, ეს გადაწყვეტილებები არა მხოლოდ რუსეთისთვის იქნება მძიმე, არამედ ევროპისთვისაც. შესაბამისად, მათი მიღების შემთხვევაში, ევროპამ ისეთი მექანიზმი უნდა შეიმუშაოს, რაც მის ეკონომიკას ნაკლებად დააზარალებს.

ფაქტია, რომ ასეთ პირობებში ცხოვრების გაგრძელება რუსეთის მოსახლეობისთვის უფრო და უფრო მძიმე იქნება. დროთა განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება. ვნახოთ, რა ნაბიჯებს გადადგამს ევროპა და რას მოიმოქმედებს რუსეთი საკუთარი ეკონომიკური ბალანსის შესანარჩუნებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. BBC. 2022. "Visa and Mastercard suspend operations". Retrieved from: <https://www.bbc.com/news/business-60637429>
2. Bloomberg. 2022. "Europe gas rises 60% with traders backing away from Russia deals". Energy Connects. Retrieved from: <https://www.energyconnects.com/news/utilities/2022/march/europe-gas-rises-60-with-traders-backing-away-from-russia-deals/>
3. Bloomberg. 2022. "Russia Sidesteps Sanctions to Supply Energy to Willing World". Retrieved from: <https://www.bloomberg.com/news/articles/2022-04-07/russia-sidesteps-sanctions-to-flood-a-willing-world-with-energy>
4. European Commission. 2022. "Ukraine: EU agrees fifth package of restrictive measures against Russia". Retrieved from: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_22_2332
5. Gourinchas P. 2022. "War dims global economic outlook as inflation accelerates". IMF Blog. Retrieved from: <https://blogs.imf.org/2022/04/19/war-dims-global-economic-outlook-as-inflation-accelerates/>
6. Hessler U. 2022. "Russian gas edging toward extinction in Europe". Deutsche Welle. Retrieved from: <https://www.dw.com/en/russian-gas-edging-toward-extinction-in-europe/a-61077614>
<https://economictimes.indiatimes.com/markets/commodities/news/higher-crude-prices-likely-to-bring-more-upside-for-ongc-oil-and-gail/articleshow/90089117.cms?from=mdr>
7. IntelliNews. 2022. "Russian unemployment could rise to 7.8% this year on sanctions shock and deep recession". Retrieved from: <https://www.intellinews.com/russian-unemployment-could-rise-to-7-8-this-year-on-sanctions-shock-and-deep-recession-239828/>
8. Interfax. 2022. "Russia requires exporters to sell 80% of FX revenue, figure could top \$400 bln by years' end". Retrieved from: <https://interfax.com/newsroom/top-stories/74722/>
9. Ivanova I. 2022. "Western sanctions are pummeling Russia's economy". CBS News. Retrieved from: <https://www.cbsnews.com/news/sanctions-russia-economy-effect/>
10. Kalish I. 2022. "How sanctions impact Russia and the global economy". Deloitte Insights. Retrieved from: <https://www2.deloitte.com/us/en/insights/economy/global-economic-impact-of-sanctions-on-russia.html>
11. Khavanekar A. 2022. "The United States banned Mikron, Russia's largest chip maker, whose microelectronics exports accounted for more than 50% of the country's microelectronics exports". Retrieved from: <https://gamingsym.in/the-united-states-banned-mikron-russias-largest-chip-maker-whose-microelectronics-exports-accounted-for-more-than-50-of-the-countrys-microelectronics-exports-yqqm/>
12. Lalljee J. 2022. "Russian 'brain drain' of academic, finance, and tech workers 'might be the most important problem' for its economy, experts say". Business Insider. Retrieved from: <https://www.businessinsider.com/russia-brain-drain-economy-ukraine-sanctions-immigration-putin-iran-isolation-2022-3>

13. Liang A. 2022. "Russia's cost of living soars by more than 14%". BBC. Retrieved from: <https://www.bbc.com/news/business-60856873>
14. Ljunggren D. 2022. "Russian central bank imposes \$10 000 limit on foreign ash withdrawals". Reuters. Retrieved from: <https://www.reuters.com/article/ukraine-crisis-russia-cenbank-accounts-idUKKBN2L52NN>
15. Mascarenhas R. 2022. "Higher crude prices likely to bring more upside for ONGC, OIL and GAIL". Economic times. Retrieved from: <https://economictimes.indiatimes.com/markets/commodities/news/higher-crude-prices-likely-to-bring-more-upside-for-ongc-oil-and-gail/articleshow/90089117.cms>
16. Miller Ch. 2022. "How sanction-proof is the Russian economy". Econofact. Retrieved from: <https://econofact.org/how-sanction-proof-is-the-russian-economy>
17. National Law Review. 2022. "Between a rock and a hard place: the sanctions climate for foreign direct investment in Russia". Retrieved from: <https://www.natlawreview.com/article/between-rock-and-hard-place-sanctions-climate-foreign-investment-russia-part-i-ii>
18. Nelson E. 2022. "Russia cuts interest rates to 17 percent as Ruble recovers". The New York Times. Retrieved from: <https://www.nytimes.com/2022/04/08/business/russia-interest-rates-ruble.html>
19. Pashaeva Y. 2022. "What the exodus of Western brands means for Russian workers". Slate. Retrieved from: <https://slate.com/technology/2022/04/russian-workers-western-companies-ukraine.html>
20. Phillips M, Peck E. 2022. "Russia's cash gusher". Axios. Retrieved from: <https://www.axios.com/russia-cash-flows-energy-sanctions-63073d96-48db-4a49-9c7f-e9d93eeb0304.html>
21. Reuters. 2022. "Analysis: Russian workers face new reality as Ukraine war sanctions sap job prospects". Retrieved from: <https://www.reuters.com/business/russian-workers-face-new-reality-ukraine-war-sanctions-sap-job-prospects-2022-04-13/>
22. Reuters. 2022. "Russia imposes 30% commission on forex purchases by individuals - brokers". Retrieved from: <https://www.reuters.com/world/europe/russia-imposes-30-commission-forex-purchases-by-individuals-brokers-2022-03-03/>
23. S&P Global. 2022. "S&P Global Russia Manufacturing PMI". Retrieved from: <https://www.markiteconomics.com/Public/Home/PressRelease/661155413ecd468997fa5c8260ee0d07>
24. Sims T. 2022. "New EU sanctions on Russia to target Sberbank, Commission head tells paper". Reuters. Retrieved from: <https://www.reuters.com/business/finance/new-eu-sanctions-russia-target-sberbank-commission-head-tells-paper-2022-04-16/>
25. Smith E. 2022. "If you think inflation's bad where you live, have look at Russia". CNBC News. Retrieved from: <https://www.cnbc.com/2022/04/20/russia-juggles-soaring-inflation-and-sinking-growth-as-sanctions-bite.html>
26. Takeuchi Y. 2022. "G-7 resists going after \$1bn-a-day Russian energy revenue". Nikkei Asia. Retrieved from: <https://asia.nikkei.com/Politics/Ukraine-war/G-7-resists-going-after-1bn-a-day-Russian-energy-revenue>
27. Udasin Sh. 2022. "Baltics cut off Russian gas, but Germany, EU face struggle". The Hill. Retrieved from: <https://thehill.com/policy/equilibrium-sustainability/3258744-baltics-cut-off-russian-gas-but-germany-eu-face-struggle/>
28. Van Dam A, Shin Y, Fowers A. 2022. "How Russia will feel the sting of sanctions". The Washington Post. Retrieved from: <https://www.washingtonpost.com/business/2022/03/18/sanctions-russia-imports/>
29. Volpicelli G. 2022. "Russia is facing a tech worker exodus". Wired. Retrieved from: <https://www.wired.com/story/russian-techies-exodus-ukraine/>

30. Wearden G. 2022. "Russia heading for worst recession since end of cold war, says UK". The Guardian. Retrieved from: <https://www.theguardian.com/world/2022/apr/08/russia-heading-for-worst-recession-since-end-of-cold-war-says-uk>
31. Whiting G. 2022. "How Russian sanctions may impact global supply chains". Red Stag Fulfillment. Retrieved from: <https://redstagfulfillment.com/global-supply-chains-and-russian-sanctions/>
32. World Airline News. 2022. "Impact of sanctions on Russia, Moscow's Sheremetyevo International Airport lays off 7 000 staff members". Retrieved from: <https://worldairlinenews.com/2022/03/21/impact-of-sanctions-on-russia-moscows-sheremetyevo-international-airport-lays-off-7000-staff-members/>
33. World Bank. 2020. "Foreign Direct Investment, net inflows – Russian Federation". Retrieved from: <https://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD?locations=RU>
34. World Data. 2020. "Tourism in Russia". Retrieved from: <https://www.worlddata.info/europe/russia/tourism.php>